საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №180/04
2020 წლის 7 ოქტომბერი

ქ. თბილისი

ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული წესის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე ორგანული კანონის 52-ე მუხლის „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტების, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 45^1 მუხლის მე-3 პუნქტის, 45^3 მუხლის მე-7 პუნქტის, 45^4 მუხლის მე-3 პუნქტის, 45^5 მუხლის პირველი, მე-2, მე-5 და მე-7 პუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

დამტკიცდეს ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული წესი თანდართულ დანართებთან ერთად.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი — კობა გვენეტაძე

ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული წესი (შემდგომში – წესი):

ა) აწესრიგებს ინსაიდერულ ვაჭრობასთან, ბაზრის მანიპულაციასა და ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამჟღავნებასთან დაკავშირებულ საკითხებს, აგრეთვე ადგენს ბაზრის მანიპულაციის თავიდან აცილების მექანიზმებს;

ბ) განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინსაიდერულ ვაჭრობასა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების ვადებს, ფორმებსა და პროცედურას;

გ) ადგენს ქმედებათა ჩამონათვალს, რომლებიც არ ჩაითვლება ინსაიდერულ ვაჭრობად, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამჟღავნებად ან/და ბაზრის მანიპულაციად;

დ) ადგენს მოთხოვნებს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ემიტენტებისთვის ინსაიდერული ინფორმაციისა და მმართველობითი ფუნქციის მქონე პირების გარიგებების გამჟღავნებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელი პირების შესახებ ჩანაწერების წარმოების მიმართ.

2. ეს წესი ვრცელდება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ გარიგებაზე, დავალებაზე, ურთიერთობაზე მიუხედავად იმისა, იგი საფონდო ბირჟაზე ხორციელდება თუ არა.

3. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 45^5 მუხლითა და ამ წესის მე-7, მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები არ ვრცელდება „უცხო ქვეყნის აღიარებული საფონდო ბირჟების ნუსხის, მათზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდების ემიტენტის,

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის და უცხო სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი განვითარების ორგანიზაციის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების საქართველოში საჯარო შეთავაზებასთან დაკავშირებული წესის“ შესაბამისად განსაზღვრულ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებსა და უცხო სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ განვითარების ორგანიზაციებზე.

4. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 45^5 მუხლითა და ამ წესის მე-7, მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები არ ვრცელდება „უცხო ქვეყნის აღიარებული საფონდო ბირჟების ნუსხის, მათზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდების ემიტენტის, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის და უცხო სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი განვითარების ორგანიზაციის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების საქართველოში საჯარო შეთავაზებასთან დაკავშირებული წესის“ შესაბამისად განსაზღვრულ უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟებზე სავაჭროდ დაშვებულ ფასიანი ქაღალდების ემიტენტებსა და მათი მმართველობითი ფუნქციის მქონე პირებზე, თუ მათ, ამ მოთხოვნების ეკვივალენტური მოთხოვნები დაკმაყოფილებული აქვთ იმ ფორმითა და იმ ვადებში, როგორც ეს განსაზღვრულია იმ უცხო ქვეყნის მარეგულირებელი კანონმდებლობით, რომლის აღიარებულ საფონდო ბირჟაზეც არის განთავსებული შესაბამისი ემიტენტის ფასიანი ქაღალდი.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ წესის მიზნებისთვის, ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **პირი, რომელიც პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე ასრულებს გარიგებებს** – ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი ან სხვა პირი, რომელიც პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე იღებს და გადასცემს კლიენტის დავალებებს ან რომელიც აღასრულებს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ გარიგებებს;

ბ) **მარკეტმეიკერი** – პირი, რომელიც მუდმივად მზადაა ფინანსურ ბაზრებზე ივაჭროს თავისი სახელით, რისთვისაც იგი საკუთარი აქტივების მეშვეობით ყიდულობს და ყიდის განსაზღვრულ ფასიან ქაღალდებს თავის მიერ განსაზღვრულ ფასად;

გ) **ემიტენტი** – „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ემიტენტი;

დ) **დაკავშირებული პირი – არის:**

დ.ა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად განსაზღვრული მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი ან შვილი, რომელიც მხარდაჭერის მიმღებია;

დ.ბ) ნათესაური კავშირის მქონე ის პირი, რომელიც შესაბამისი გარიგების დადების დღემდე სულ მცირე ერთი წლის განმავლობაში იმავე ოჯახში ცხოვრობდა;

დ.გ) იურიდიული პირი ან იურიდიული პირის სტატუსის არმქონე წარმონაქმნი, რომლის მმართველობითი ან წარმომადგენლობითი ფუნქცია აკისრია ემიტენტის მმართველობითი ფუნქციის მქონე პირს ან ამ პუნქტის „დ.ა“-„დ.ბ“ ქვეპუნქტებში მითითებულ პირს, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ექვემდებარება ასეთი პირის კონტროლს, რომელიც შექმნილია ასეთი პირის სასარგებლოდ, ან რომლის ეკონომიკური ინტერესები მნიშვნელოვნად უთანაბრდება აღნიშნული პირების ინტერესებს;

ე) **ინფორმაციის გამამჟღავნებელი ბაზრის მონაწილე** – ამ წესის მე-5 მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირი, რომელიც ამჟღავნებს ინფორმაციას საბაზრო ინტერესის შეფასების ფარგლებში;

ვ) **წილების შეძენა** – საწარმოს ფასიანი ქაღალდების შეძენა, რომელიც ამ საწარმოს ფასიან ქაღალდებზე არ იწვევს სატენდერო შეთავაზების გამოცხადების კანონმდებლობით დადგენილ ვალდებულებას;

ზ) **ემიტენტის მმართველობითი ფუნქციის მქონე პირი** – „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“

საქართველოს კანონის 45 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული პირი;

თ) ინფორმაციის გასაჯაროება (გამოქვეყნება) – ინფორმაციის გამოქვეყნება ემიტენტის, საფონდო ბირჟის, ან საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებგვერდის, სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ან ისეთი საშუალებების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტორთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 3. საბაზრო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება და იდენტიფიცირება

1. საფონდო ბირჟამ და პირმა, რომელიც პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე ასრულებს გარიგებებს, საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა შეატყობინონ ნებისმიერი საეჭვო დავალების ან/და გარიგების, მათ შორის, დავალების/გარიგების ნებისმიერი გაუქმების ან ცვლილების შესახებ, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ინსაიდერულ ვაჭრობად ან ინსაიდერული ვაჭრობის მცდელობად, ბაზრის მანიპულაციად ან ბაზრის მანიპულაციის მცდელობად. შეტყობინება საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა წარედგინოს დაუყოვნებლივ, ამ მუხლის მე-2-მე-7 პუნქტების მოთხოვნათა დაცვით.

2. საქართველოში ლიცენზირებულმა საფონდო ბირჟამ და პირმა, რომელიც პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე ასრულებს გარიგებებს, უნდა შეიმუშაოს და დანერგოს მისი ზომისა და საქმიანობის პროპორციული პროცედურები, რათა უზრუნველყონ:

ა) საეჭვო დავალებებისა და გარიგებების მუდმივი მონიტორინგი ბაზრის მანიპულაციის ან ბაზრის მანიპულაციის მცდელობის, ასევე ინსაიდერული ვაჭრობის ან ინსაიდერული ვაჭრობის მცდელობის თავიდან აცილებისა და იდენტიფიცირების მიზნით;

ბ) საქართველოს ეროვნული ბანკისათვის, ბაზრის მანიპულაციის ან ბაზრის მანიპულაციის მცდელობის, ასევე ინსაიდერული ვაჭრობის ან ინსაიდერული ვაჭრობის მცდელობის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება, თუმცა არაუგვიანეს შესაბამისი გონივრული ეჭვის გაჩენიდან 2 (ორი) სამუშაო დღისა.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები ვრცელდება ნებისმიერ ფასიან ქაღალდთან დაკავშირებულ ნებისმიერ საეჭვო დავალებასა და გარიგებაზე, მიუხედავად მასში მონაწილე მხარეებისა და დავალების/გარიგების ტიპისა.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულმა პირებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შეტყობინებაში ასახული ინფორმაცია ეყრდნობოდეს შესაბამის ფაქტებსა და ანალიზს და მოიცავდეს მათთვის ხელმისაწვდომ ყველანაირ ინფორმაციას.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი პროცედურები, რათა დაიცვან საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარსადგენი ინფორმაციის კონფიდენციალურობა. პირს, რომლის შესახებაც ხდება შეტყობინების წარდგენა, აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს, რომელმაც მისი ფუნქციებიდან და პოზიციიდან გამომდინარე არ უნდა იცოდეს შეტყობინების წარდგენის შესახებ, არ უნდა ჰქონდეს აღნიშნული ინფორმაცია. აგრეთვე, მათთვის არ უნდა იყოს ცნობილი ფაქტი, რომ განზრახულია, ხორციელდება ან უკვე განხორციელდა საქართველოს ეროვნული ბანკისათვის შეტყობინების წარდგენა.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულმა შეტყობინების გამგზავნმა პირებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შეტყობინება იყოს ნათელი და ზუსტი და მოიცავდეს სულ მცირე შემდეგ ინფორმაციას/დოკუმენტაციას:

ა) შეტყობინების გამგზავნი პირის დასახელებას;

ბ) დავალების ან/და გარიგების აღწერას, რომელიც, მათ შორის, მოიცავს:

ბ.ა) დავალებისა ან/და გარიგების ტიპსა და მათი განხორციელების ადგილს;

ბ.ბ) დროს, ფასსა და მოცულობას;

გ) მიზეზების აღწერას, თუ რატომ შეიძლება ჩაითვალოს დავალება ან/და გარიგება ინსაიდერულ ვაჭრობად ან ინსაიდერული ვაჭრობის მცდელობად, ბაზრის მანიპულაციად ან ბაზრის მანიპულაციის მცდელობად;

დ) იმ პირების ვინაობას, რომლებიც ჩართულნი იყვნენ იმ დავალებასა ან გარიგებაში, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ინსაიდერულ ვაჭრობად, ინსაიდერული ვაჭრობის მცდელობად ან ბაზრის მანიპულაციად, ბაზრის მანიპულაციის მცდელობად; აღნიშნული უნდა მოიცავდეს იმ პირების ვინაობას, რომლებმაც უშუალოდ განათავსეს ან აღასრულეს დავალება/გარიგება და, ასევე, პირებისას, ვისი სახელითაც მოხდა დავალების/გარიგების განთავსება ან აღსრულება;

ე) ნებისმიერ ინფორმაციასა და დამხმარე დოკუმენტაციას, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს რელევანტურად საქართველოს ეროვნული ბანკისთვის, ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ვაჭრობის მცდელობის, ბაზრის მანიპულაციის, ბაზრის მანიპულაციის მცდელობის მოსაკვლევად და შესაბამისი ზომების მისაღებად.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინება საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა წარედგინოს ელექტრონული ფორმით. თუ შეტყობინების ელექტრონული ფორმით გაგზავნა შეუძლებელია, საქართველოს ეროვნულ ბანკს შეტყობინება უნდა წარედგინოს მატერიალური ფორმით. თუ საქართველოს ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ საკითხის მოსაკვლევად საჭიროა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, იგი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოითხოვოს ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, მათ შორის, კონფიდენციალური.

მუხლი 4. ქმედებები, რომლებიც არ ჩაითვლება ინსაიდერულ ვაჭრობად

1. მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ იურიდიული პირი ფლობს ან ფლობდა ინსაიდერულ ინფორმაციას, არ უნდა ჩაითვალოს, რომ ამ პირმა გამოიყენა აღნიშნული ინფორმაცია და, ამგვარად, ჩაერთო ინსაიდერულ ვაჭრობაში, თუ სრულდება ყველა შემდეგი პირობა:

ა) ამ იურიდიულ პირს შემუშავებული და დანერგილი აქვს შესაბამისი შიდა პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ ფიზიკურ პირებს, რომლებმაც მისი სახელით მიიღეს გადაწყვეტილება ფასიანი ქაღალდების შეძენის ან განკარგვის შესახებ, და პირებს, რომლებსაც შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე არ ჰქონდათ აღნიშნულ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ინსაიდერული ინფორმაცია;

ბ) ამ იურიდიულ პირს არ წაუქეზებია, არ გაუწევია რეკომენდაცია, არ დაუყოლიებია ან სხვაგვარად არ მოუხდენია ზეგავლენა სხვა პირზე, რომელმაც მისი სახელით შეიძინა ან განკარგა ის ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც ეხება ინსაიდერული ინფორმაცია.

2. მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ პირი ფლობს ან ფლობდა ინსაიდერულ ინფორმაციას, არ უნდა ჩაითვალოს, რომ ამ პირმა გამოიყენა აღნიშნული ინფორმაცია და, ამგვარად, ჩაერთო ინსაიდერულ ვაჭრობაში, როდესაც სრულდება ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ა) იმ ფასიანი ქაღალდებისთვის, რომელსაც ეს ინფორმაცია ეხება, ეს პირი არის მარკეტმეიკერი ან პირი, რომელიც უფლებამოსილია იმოქმედოს, როგორც კონტრაჰენტმა და ამ ფასიანი ქაღალდების შეძენა ან განკარგვა ხორციელდება მართლზომიერად ამ ფასიანი ქაღალდების მარკეტმეიკერის ან კონტრაჰენტის ჩვეულებრივი საქმიანობიდან გამომდინარე;

ბ) პირი უფლებამოსილია აღასრულოს დავალება მესამე პირის სახელით და აღნიშნული დავალების შესრულებისთვის მართლზომიერად შეიძინოს ან განკარგოს ფასიანი ქაღალდები, მასზე დაკისრებული შრომითი, პროფესიული ან სხვა ვალდებულებიდან გამომდინარე.

3. მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ პირი ფლობს ან ფლობდა ინსაიდერულ ინფორმაციას, არ უნდა ჩაითვალოს, რომ ამ პირმა გამოიყენა აღნიშნული ინფორმაცია და, ამგვარად, ჩაერთო ინსაიდერულ ვაჭრობაში, თუ ამ პირის მიერ, ფასიანი ქაღალდების შეძენის ან განკარგვის ოპერაცია შესრულებულია

კეთილსინდისიერად, მასზე დაკისრებული ვალდებულებებიდან გამომდინარე და არა იმ მიზნით, რომ თავი აერიდებინა ინსაიდერული ვაჭრობის აკრძალვისთვის და სრულდება ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ა) ვალდებულება გამომდინარეობს იმ დავალებიდან ან სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, რომელიც წარმოიქმნა მანამ, სანამ ამ პირს ექნებოდა ინსაიდერული ინფორმაცია;

ბ) ეს გარიგება განხორციელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ან მარეგულირებელი ორგანოების მიერ დადგენილი ვალდებულებების შესასრულებლად.

4. მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ პირი ფლობს ან ფლობდა ინსაიდერულ ინფორმაციას, არ უნდა ჩაითვალოს, რომ ამ პირმა გამოიყენა აღნიშნული ინფორმაცია და, ამგვარად, ჩაერთო ინსაიდერულ ვაჭრობაში, თუ ასეთმა პირმა ინსაიდერული ინფორმაცია სატენდერო შეთავაზების ან საწარმოთა შერწყმის განხორციელებისას მოიპოვა და სრულდება ორივე შემდეგი პირობა:

ა) პირი ასეთ ინფორმაციას იყენებს მხოლოდ სატენდერო შეთავაზების ან საწარმოთა შერწყმის პროცესის მიზნებისთვის;

ბ) საწარმოთა შერწყმაზე დასტურის ან საწარმოს აქციონერთა მიერ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის მომენტისთვის, ნებისმიერი ინსაიდერული ინფორმაცია იყო საჯაროდ ხელმისაწვდომი ან სხვაგვარად აღარ ითვლებოდა ინსაიდერულ ინფორმაციად.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტი არ ვრცელდება ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ წილების შეძენაზე.

6. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ფასიანი ქაღალდების შეძენის ან განკარგვის გადაწყვეტილებების მისაღებად პირი იყენებს თავის ცოდნას, არ შეიძლება ჩაითვალოს ამ ფასიანი ქაღალდის შეძენის ან განკარგვისას ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებად.

7. მიუხედავად ამ მუხლის პირველი-მე-6 პუნქტებით დადგენილი გამონაკლისებისა, იმავე პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება ჩაითვალოს, რომ დაირღვა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აკრძალვები, თუ საქართველოს ეროვნული ბანკი დაადგენს, რომ სავაჭრო დავალების, გარიგების ან სხვა შესაბამისი ქმედების განხორციელების მიზეზები არ იყო მართლზომიერი.

მუხლი 5. საბაზრო ინტერესის შეფასება

1. საბაზრო ინტერესის შეფასება გულისხმობს გარიგების განხორციელებამდე ამ მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ ინფორმაციის მიწოდებას ერთი ან რამდენიმე ინვესტორისთვის, რათა განისაზღვროს პოტენციური ინვესტორების ინტერესი შესაძლო გარიგებასთან მიმართებაში, აგრეთვე გარიგებასთან დაკავშირებული პირობები, როგორიცაა მისი პოტენციური ზომა და ფასი.

2. საბაზრო ინტერესის შეფასება შესაძლოა განახორციელოს ემიტენტმა ან პირმა, რომელიც პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე ასრულებს გარიგებებს ემიტენტის სახელით ან მის სასარგებლოდ/მისი ინტერესებიდან გამომდინარე.

3. პირის ქმედება, რომელიც აპირებს განახორციელოს საწარმოს ფასიან ქაღალდებზე სატენდერო შეთავაზება ან საწარმოსთან შერწყმა და ამ მიზნით ინსაიდერულ ინფორმაციას უმჟღავნებს შესაბამისი ფასიანი ქაღალდების მფლობელებს, შეიძლება ჩაითვალოს საბაზრო ინტერესის შეფასებად, თუ სრულდება ორივე შემდეგი პირობა:

ა) ეს ინფორმაცია საჭიროა ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის, რათა მიიღონ გადაწყვეტილება თავიანთი ფასიანი ქაღალდების შეთავაზების შესახებ;

ბ) ფასიანი ქაღალდების მფლობელთა მიერ ნების გამოხატვა საკუთარი ფასიანი ქაღალდების შეთავაზების შესახებ აუცილებელია სატენდერო შეთავაზების ან შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების

მისაღებად.

4. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 45[4] მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის, ჩაითვლება, რომ ინფორმაციის გამამჟღავნებელი ბაზრის მონაწილის მიერ საბაზრო ინტერესის შეფასებისას ინსაიდერული ინფორმაციის გამჟღავნება მოხდა მისი ჩვეულებრივი შრომითი, პროფესიული ან სხვა ვალდებულებების შესრულების პროცესში, თუ იგი მოქმედებს ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

5. საბაზრო ინტერესის შეფასებამდე, ინფორმაციის გამამჟღავნებელმა ბაზრის მონაწილემ უნდა განსაზღვროს მოიცავს თუ არა მის მიერ გასამჟღავნებელი ინფორმაცია ინსაიდერულ ინფორმაციას. ინფორმაციის გამამჟღავნებელმა ბაზრის მონაწილემ უნდა შექმნას და შეინახოს დოკუმენტი, რომელიც აღწერს მის მიერ გაკეთებული დასკვნის შინაარსსა და ამ დასკვნის მიზეზებს და მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს იგი საქართველოს ეროვნულ ბანკს. აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება საბაზრო ინტერესის შეფასების პერიოდში გამჟღავნებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე. ინფორმაციის გამამჟღავნებელმა ბაზრის მონაწილემ უნდა უზრუნველყოს ამ პუნქტში მითითებული ჩანაწერების საჭიროებისამებრ განახლება.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისთვის, ინფორმაციის გამჟღავნებამდე, ინფორმაციის გამამჟღავნებელმა ბაზრის მონაწილემ:

ა) საბაზრო ინტერესის შეფასების ფარგლებში ინფორმაციის მიმღები პირისგან უნდა მოიპოვოს ინსაიდერული ინფორმაციის მიღების შესახებ თანხმობა;

ბ) საბაზრო ინტერესის შეფასების ფარგლებში ინსაიდერული ინფორმაციის მიმღებ პირს შეატყობინოს, რომ მას ეკრძალება აღნიშნული ინფორმაციის გამოყენება, ან მისი გამოყენების მცდელობა იმ ფასიანი ქაღალდების პირდაპირ ან არაპირდაპირ, თავის ან მესამე პირის სასარგებლოდ/ინტერესებიდან გამომდინარე შეძენის ან განკარგვის გზით, რომლებსაც უკავშირდება აღნიშნული ინფორმაცია;

გ) საბაზრო ინტერესის შეფასების ფარგლებში ინსაიდერული ინფორმაციის მიმღებ პირს შეატყობინოს, რომ მას ეკრძალება აღნიშნული ინფორმაციის გამოყენება ან მისი გამოყენების მცდელობა იმ ფასიან ქაღალდებზე უკვე განთავსებული დავალების გაუქმების ან შეცვლის გზით, რომლებსაც უკავშირდება აღნიშნული ინფორმაცია;

დ) საბაზრო ინტერესის შეფასების ფარგლებში ინსაიდერული ინფორმაციის მიმღებ პირს შეატყობინოს, რომ აღნიშნული ინფორმაციის მიღებაზე თანხმობის განცხადებით იგი ვალდებულებას იღებს დაიცვას აღნიშნული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

7. ინფორმაციის გამამჟღავნებელმა ბაზრის მონაწილემ უნდა შექმნას და შეინახოს საბაზრო ინტერესის შეფასების ფარგლებში ინფორმაციის მიმღები პირებისთვის გადაცემული ყველა ინფორმაციის, მათ შორის, ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად გადაცემული ინფორმაციის ჩანაწერები. ინფორმაციის გამამჟღავნებელმა პირმა უნდა შეინახოს ინფორმაცია იმ პოტენციურ ინვესტორთა ან მათი სახელით მოქმედ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა ვინაობის შესახებ, რომელთაც გადაეცათ ინფორმაცია, ასევე, აღნიშნული ინფორმაციის გადაცემის თარიღი და დრო. ინფორმაციის გამამჟღავნებელმა ბაზრის მონაწილემ აღნიშნული ჩანაწერები, მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარუდგინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს.

8. თუ ინფორმაციის გამამჟღავნებელი ბაზრის მონაწილის შეფასებით, საბაზრო ინტერესის შეფასების ფარგლებში გამჟღავნებული ინფორმაცია აღარ წარმოადგენს ინსაიდერულ ინფორმაციას, მან დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ იმ პირებს, რომლებიც ფლობენ ამ ინფორმაციას. ინფორმაციის გამამჟღავნებელმა ბაზრის მონაწილემ უნდა შეინახოს ამ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია და მოთხოვნის შემთხვევაში გადასცეს იგი საქართველოს ეროვნულ ბანკს.

9. ინფორმაციის გამამჟღავნებელმა ბაზრის მონაწილემ ამ მუხლით გათვალისწინებული ჩანაწერები უნდა შეინახოს სულ მცირე 6 წლის განმავლობაში.

მუხლი 6. ბაზრის მანიპულაცია

1. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 45[1] მუხლის მიზნებისთვის, ბაზრის მანიპულაციად მათ შორის ჩაითვლება შემდეგი ქმედებები:

ა) პირის ან ერთობლივად მოქმედ პირთა ქმედება, რათა შეინარჩუნონ დომინანტური პოზიცია ფასიანი ქაღალდის მოთხოვნაზე ან მიწოდებაზე, რომლის შედეგადაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ხდება ან შესაძლოა მოხდეს ფასიანი ქაღალდის ფასის ხელოვნურად დაფიქსირება, ან რომელიც ქმნის ან შესაძლოა შექმნას სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობები;

ბ) ბაზრის გახსნისას ან დახურვისას ფასიანი ქაღალდების ყიდვა ან გაყიდვა, რომლის მიზანს წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ფასზე ზემოქმედება და რასაც შეცდომაში შეჰყავს ან შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს ის ინვესტორები, რომლებიც მოქმედებენ გამოქვეყნებული ფასების, მათ შორის ბაზრის გახსნისას ან დახურვისას გამოქვეყნებული ფასების მიხედვით;

გ) დავალებების განთავსება, მათ შორის, დავალებების ნებისმიერი გაუქმება ან ცვლილება, რომელიც იწვევს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 45[1] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ერთ-ერთ შედეგს და რომელიც ხორციელდება ერთ-ერთი შემდეგი საშუალებით:

გ.ა) საფონდო ბირჟის/სხვა სავაჭრო პლატფორმის სავაჭრო სისტემის ფუნქციონირების შეფერხების ან სისტემის სხვაგვარად ხელყოფის გზით ან მათი მცდელობით;

გ.ბ) სხვა პირებისთვის საფონდო ბირჟის სავაჭრო ან სხვა სახის სავაჭრო სისტემაში რეალური დავალებების იდენტიფიცირების გართულების ან შესაძლო გართულების გზით, მათ შორის, ისეთი სავაჭრო განაცხადების დაფიქსირებით, რომელიც იწვევს დავალებათა წიგნის გადატვირთვას ან დესტაბილიზაციას;

გ.გ) ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნასთან ან მათ მიწოდებასთან, ან ფასიანი ქაღალდების ფასთან დაკავშირებით, მცდარი და შეცდომაში შემყვანი სიგნალების წარმოქმნის ან წარმოქმნის მცდელობის გზით, კერძოდ, ისეთი დავალებების დაფიქსირებით, რომლებიც ხელოვნურად ცვლის არსებულ ტრენდებს ან ქმნის ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების შესახებ მცდარ სურათს;

დ) პირის მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე პერიოდული ან რეგულარული წვდომის შესაძლებლობის გამოყენება ფასიანი ქაღალდის (ან არაპირდაპირ – ამ ფასიანი ქაღალდის ემიტენტის) შესახებ გარკვეული მოსაზრებების გავრცელების მიზნით, მაშინ როდესაც მას აქვს ინტერესი ამ ფასიან ქაღალდთან დაკავშირებით. კერძოდ, თუ იგი სარგებელს იღებს აღნიშნული ფასიანი ქაღალდის ფასის ცვლილებიდან, რომელიც გამოწვეულია მის მიერ გავრცელებული მოსაზრებების შედეგად და მის მიერ საჯაროდ და ადეკვატურად არ არის გამჟღავნებული აღნიშნული ინტერესთა კონფლიქტი.

2. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 45[1] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, ქმედება არ ჩაითვლება ბაზრის მანიპულაციად, თუ იგი განხორციელებულია მართლზომიერი მიზნებისთვის და დაკავშირებულია პირზე, რომელიც პროფესიული ვალდებულებიდან გამომდინარე ასრულებს გარიგებებს, დაკისრებული პროფესიული ვალდებულებების შესრულებასთან.

3. საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს უფლებამოსილება, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 45[1] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თითოეული შემთხვევის ინდივიდუალური განხილვის საფუძველზე, შეაფასოს განხორციელდა თუ არა ქმედება მართლზომიერი მიზნებისთვის, და ამდენად, წარმოადგენს თუ არა ბაზრის მანიპულაციას.

მუხლი 7. ინსაიდერული ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. ემიტენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ გაასაჯაროოს მასთან დაკავშირებული ინსაიდერული ინფორმაცია. ემიტენტის მიერ ინსაიდერული ინფორმაცის გასაჯაროება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ

შესაძლებელი იყოს საზოგადოების მხრიდან ამ ინფორმაციის სრული, სწორი და დროული შეფასება.

2. ემიტენტმა ინსაიდერული ინფორმაციის გასაჯაროება არ უნდა გააერთიანოს თავისი საქმიანობის რეკლამირებასთან. მან უნდა გამოაქვეყნოს და შეინახოს ყველა ის ინსაიდერული ინფორმაცია, რომლის გასაჯაროების ვალდებულებაც აქვს. აღნიშნული ინფორმაცია ემიტენტს შენახული და გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს სულ მცირე 5 წლის განმავლობაში.

3. თუ ემიტენტმა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 45^5 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დააყოვნა ინსაიდერული ინფორმაციის გასაჯაროება, მან აღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნებისთანავე უნდა შეატყობინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს და წარმოადგინოს შესაბამისი წერილობითი ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ აკმაყოფილებდა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 45^5 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ პირობებს.

4. ფინანსური სისტემის სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით ემიტენტს, რომელიც ფინანსური ინსტიტუტია, უფლება აქვს საკუთარი პასუხისმგებლობით დააყოვნოს ინსაიდერული ინფორმაციის გასაჯაროება. აღნიშნული მოიცავს დროებითი ლიკვიდურობის პრობლემასთან, კერძოდ, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკისგან დროებით ლიკვიდურობაზე დახმარების საჭიროებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების დაყოვნებასაც. ემიტენტს, რომელიც ფინანსური ინსტიტუტია, უფლება აქვს საკუთარი პასუხისმგებლობით დააყოვნოს ინსაიდერული ინფორმაციის გასაჯაროება, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა) ინსაიდერული ინფორმაციის გამჟღავნებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ემიტენტისა და ფინანსური სისტემის სტაბილურობას;

ბ) აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნების დროებით დაყოვნება წარმოადგენს საჯარო ინტერესს;

გ) აღნიშნული ინფორმაციის კონფიდენციალობა დაცული იქნება;

დ) არსებობს საქართველოს ეროვნული ბანკის წინასწარი თანხმობა ინფორმაციის გასაჯაროების გადავადებასთან დაკავშირებით, ამ პუნქტის „ა“, „ბ“, და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისთვის ემიტენტმა საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა შეატყობინოს ინსაიდერული ინფორმაციის გასაჯაროების დროებით გადავადების განზრახვის შესახებ და წარადგინოს ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის მტკიცებულება.

6. თუ საქართველოს ეროვნული ბანკი არ დათანხმდება ემიტენტის მიერ წარდგენილ მოთხოვნას ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ინსაიდერული ინფორმაციის გასაჯაროების დაყოვნების შესახებ, ემიტენტმა დაუყოვნებლივ უნდა გამოაქვეყნოს აღნიშნული ინფორმაცია.

7. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 45^5 მუხლის მე-2 პუნქტისა და ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ინსაიდერული ინფორმაციის გასაჯაროების დაყოვნების შემთხვევაში, თუ ამ ინსაიდერული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა აღარ არის გარანტირებული, ემიტენტმა ის დაუყოვნებლივ უნდა გამოაქვეყნოს. ეს პუნქტი ეხება ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ვრცელდება იმ ინსაიდერულ ინფორმაციასთან დაკავშირებული გარკვეული ცნობები, რომლის გასაჯაროების დაყოვნებაც მოხდა და გავრცელებული ცნობები საკმარისად ზუსტია იმისთვის, რომ საფრთხეს უქმნიდეს აღნიშნული ინფორმაციის კონფიდენციალობას.

მუხლი 8. ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელი პირების შესახებ ჩანაწერის წარმოება

1. ემიტენტი ან/და მისი სახელით/მისი ინტერესებისთვის მოქმედი ნებისმიერი პირი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ჩანაწერების წარმოება და ამ მიზნით შეადგინოს ყველა იმ პირის ნუსხა, რომელიც

მუშაობს მასთან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, ან სხვაგვარად ასრულებს ისეთ დავალებებს, რომლის მეშვეობითაც აქვს წვდომა ინსაიდერულ ინფორმაციაზე;

ბ) დროულად განაახლოს ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელთა ნუსხა ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად;

გ) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, მას დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელთა ნუსხა.

2. ემიტენტმა ან/და მისი სახელით/მისი ინტერესებისთვის მოქმედმა პირმა უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელთა ნუსხაში შემავალი ნებისმიერი პირი წერილობით ადასტურებდეს, რომ მისთვის ცნობილია კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები და ის სანქციები, რომლებიც ვრცელდება ინსაიდერულ ვაჭრობასა და ინსაიდერული ინფორმაციის უკანონო გამჟღავნებაზე.

3. თუ ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელთა ნუსხას ემიტენტის სახელით ან მისი ინტერესებისთვის მოქმედი სხვა პირი ადგენს (შესაბამისი დელეგირების საფუძველზე), ამ მუხლთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება ემიტენტს. ემიტენტს ნებისმიერ დროს უნდა ჰქონდეს წვდომა ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელთა ნუსხაზე.

4. ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელთა ნუსხა უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგ ინფორმაციას:

ა) ყველა იმ პირის ვინაობას, რომელსაც წვდომა აქვს ინსაიდერულ ინფორმაციაზე;

ბ) პირის ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელთა ნუსხაში შეყვანის მიზეზს;

გ) თარიღსა და დროს, როდესაც პირმა მოიპოვა ინსაიდერულ ინფორმაციაზე წვდომა;

დ) ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელთა ნუსხის შედგენის თარიღს.

5. ემიტენტმა ან/და მისი სახელით/მისი ინტერესებისთვის მოქმედმა ნებისმიერმა პირმა დროულად უნდა განაახლოს ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელთა ნუსხა, თუ სახეზეა შემდეგი შემთხვევები:

ა) იცვლება ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელთა ნუსხაში არსებული პირის შეყვანის მიზეზი;

ბ) ინსაიდერულ ინფორმაციაზე წვდომა მოიპოვა სხვა პირმა და საჭიროა მისი დამატება ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელთა ნუსხაში;

გ) პირს აღარ აქვს ინსაიდერულ ინფორმაციაზე წვდომა.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული თითოეული განახლების შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს მისი გამომწვევი ცვლილების თარიღი და დრო.

7. ემიტენტმა ან/და მისი სახელით/მისი ინტერესებისთვის მოქმედმა ნებისმიერმა პირმა, უნდა შეინახოს ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელთა ნუსხა მისი შედგენიდან ან განახლებიდან სულ მცირე 5 წლის განმავლობაში.

მუხლი 9. მმართველობითი ფუნქციის მქონე პირების გარიგებები

1. მმართველობითი ფუნქციის მქონე პირებმა, ასევე მათთან დაკავშირებულმა პირებმა უნდა შეატყობინონ ემიტენტსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს, მათ მიერ/მათ სასარგებლოდ ემიტენტის ფასიანი ქაღალდებით ან/და ემიტენტის ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული სხვა ფინანსური ინსტრუმენტებით განხორციელებული გარიგებების შესახებ.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული შეტყობინების წარდგენა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, მაგრამ გარიგების დადებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე იმავე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება გავრცელდება მას შემდეგ, რაც თითოეული ამ პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში განხორციელებული ყველა გარიგების საერთო (ჯამური) ღირებულება მიაღწევს 20 000 ლარის ზღვარს ან მის ეკვივალენტს უცხოურ ვალუტაში.

4. ემიტენტმა ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მიღებული შეტყობინებები უნდა გამოქვეყნოს დროულად, მაგრამ არაუგვიანეს გარიგების განხორციელებიდან 3 სამუშაო დღისა.

5. მმართველობითი ფუნქციის მქონე პირებს ემიტენტმა წერილობით უნდა შეატყობინოს ამ მუხლით გათვალისწინებული მათი ვალდებულებების შესახებ. ემიტენტმა უნდა შეადგინოს მმართველობითი ფუნქციების მქონე პირებისა და მათთან დაკავშირებული პირების ნუსხა.

6. მმართველობითი ფუნქციის მქონე პირებმა წერილობით უნდა შეატყობინონ მათთან დაკავშირებულ პირებს ამ მუხლით გათვალისწინებული მათი ვალდებულებების შესახებ და შეინახონ აღნიშნული შეტყობინების ასლი.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ გარიგებებთან დაკავშირებული შეტყობინება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პირის სახელსა და გვარს;

ბ) შეტყობინების მიზეზს;

გ) შესაბამისი ემიტენტის სახელს;

დ) ფასიანი ქაღალდის აღწერასა და მის საიდენტიფიკაციო ნომერს (ISIN);

ე) გარიგების ტიპს (მაგალითად: შეძენა ან გასხვისება), იმის მითითებით, არის თუ არა აღნიშნული გარიგება დაკავშირებული ემიტენტის მიერ საკუთარი თანამშრომლებისთვის აქციების განაწილებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებასთან ან ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ სხვა ქმედებებთან;

ვ) გარიგების თარიღსა და ადგილს;

ზ) გარიგების ფასსა და მოცულობას. გირავნობის შემთხვევაში, გირავნობის ღირებულებასა და თარიღს, აგრეთვე გირავნობის იმ პირობებს, რომლებიც ითვალისწინებს გირავნობის ღირებულების ცვლილებას (არსებობის შემთხვევაში).

8. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის გარიგებები, რომელთა შესახებაც უნდა გაიგზავნოს შეტყობინება, ასევე გულისხმობს:

ა) მმართველობითი ფუნქციების მქონე პირების, ასევე, მათთან დაკავშირებული ან მათი სახელით მოქმედი პირების მიერ ემიტენტის ფასიანი ქაღალდების დაგირავებას ან გასესხებას;

ბ) მმართველობითი ფუნქციების მქონე პირების, ასევე, მათთან დაკავშირებული პირების სახელით მოქმედი ნებისმიერი პირის მიერ განხორციელებულ გარიგებას ან იმ პირის მიერ განხორციელებულ გარიგებას, რომელიც პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე ასრულებს გარიგებებს (მათ შორის, გარიგებები, როდესაც აღნიშნული პირები მოქმედებენ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში).

9. მმართველობითი ფუნქციის მქონე პირებმა და მათთან დაკავშირებულმა პირებმა, თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ არ უნდა განახორციელონ გარიგებები ამ ემიტენტის ფასიან ქაღალდებზე ან/და ემიტენტის ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე აღნიშნული ემიტენტის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ნახევარი წლის ან წლიური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე სულ მცირე 30 კალენდარული დღით ადრე.

10. ემიტენტს შეუძლია უფლება მისცეს მმართველობითი ფუნქციის მქონე პირს ივაჭროს თავისი ან მესამე პირის სასარგებლოდ იმ პერიოდის განმავლობაშიც, რომელშიც ამ მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად გარიგებების განხორციელება დაუშვებელია (შემდგომში – დახურული პერიოდი), თუ მმართველობითი ფუნქციის მქონე პირი შეძლებს დაამტკიცოს, რომ კონკრეტული გარიგების დადება შეუძლებელი იქნება დახურული პერიოდის გარდა სხვა დროს და თუ დაკმაყოფილებულია ერთ-ერთ შემდეგი პირობა:

ა) ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, განსაკუთრებული გარემოებებიდან გამომდინარე, როგორიცაა მწვავე ფინანსური პრობლემა, საჭიროა ფასიანი ქაღალდების დაუყოვნებლივ გასხვისება;

ბ) გარიგება დაკავშირებულია თანამშრომლებისთვის აქციების განაწილებასთან ან თანამშრომელთა დაგროვებით შენატანებთან, ან სხვა ისეთ გარიგებებთან, რომლის დროსაც შესაბამისი ფასიანი ქაღალდის ბენეფიციარი მფლობელების წილი უცვლელია.

მუხლი 10. გარდამავალი დებულებები

საქართველოში ლიცენზირებულმა საფონდო ბირჟამ და პირებმა, რომლებიც პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე ასრულებენ გარიგებებს, ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურები უნდა შეიმუშაონ და დანერგონ ამ წესის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 6 თვისა.

დანართი 1

ინსაიდერული ინფორმაციის მაგალითები

ეს დანართი ადგენს ინსაიდერული ინფორმაციის შემცველ არაამომწურავ და საილუსტრაციო მაგალითების სიას. ის ფაქტი, რომ რომელიმე კონკრეტული საკითხი ამ დანართით არ არის გათვალისწინებული, არ ნიშნავს იმას, რომ იგი არ წარმოადგენს ინსაიდერულ ინფორმაციას. ასევე, ის ფაქტი, რომ დანართში გათვალისწინებულია ესა თუ ის საკითხი, არ ნიშნავს იმას, რომ იგი ავტომატურად ჩაითვლება ინსაიდერულ ინფორმაციად. ამ დანართით განსაზღვრული ინფორმაციის შეფასებისას, გასათვალისწინებელია შესაბამისი მოვლენის/ინფორმაციის არსებითობა/მატერიალურობა.

ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ ეხება ემიტენტს:

ა) ემიტენტის აქტივებთან დაკავშირებული ინფორმაცია:

ა.ა) მნიშვნელოვანი ცვლილებები ემიტენტის აქტივების ღირებულებაში;

ა.ბ) ემიტენტის მატერიალური აქტივების ან ქონების განადგურება ან გასხვისება;

ა.გ) ემიტენტის მნიშვნელოვანი მოვალეების გადახდისუუნარობა;

ა.დ) ემიტენტის საინვესტიციო პორტფელში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა ან შემცირება;

ბ) ემიტენტის დაფინანსების სტრუქტურა:

ბ.ა) ოპერაციები, რომლებიც უკავშირდება ემიტენტის კაპიტალსა და ვალდებულებებს ან ემიტენტის მიერ მათთან მიმართებით განსაზღვრული დათქმების დარღვევას;

ბ.ბ) ახალი ვალდებულებების აღება, მათ შორის სასესხო ფასიანი ქაღალდების ან სხვა სახის ფინანსური ინსტრუმენტების გამოშვება;

ბ.გ) კომერციული ბანკის ან სხვა კრედიტორებისგან აღებული ვალდებულების რესტრუქტურიზაცია ან საკრედიტო ხაზის გაუქმება;

ბ.დ) ემიტენტის საწესდებო კაპიტალის გაზრდასთან ან შემცირებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება;

ბ.ე) ემიტენტის მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვასთან ან სხვა საჯარო ფასიან ქაღალდებზე ტრანზაქციებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება;

გ) ემიტენტის ბიზნესსაქმიანობა ან მასთან დაკავშირებით არსებული მოლოდინები:

გ.ა) ემიტენტის საოპერაციო შედეგები;

გ.ბ) შერწყმა, გაყოფა ან სხვაგვარი რეორგანიზაცია;

გ.გ) ემიტენტის მიერ სხვა საწარმოს მნიშვნელოვანი წილის ან სხვა აქტივების შეძენა ან განკარგვა;

გ.დ) განხორციელებული ან დაგეგმილი ცვლილებები ბიზნესსაქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებით, მათ შორის არსებული მიმართულების საქმიანობის სფეროების გაფართოება/შემცირება ან ბიზნესსაქმიანობის ახალ სფეროში შესვლა ან არსებულიდან გამოსვლა;

გ.ე) ინოვაციური პროდუქტის ან პროცესების დანერგვა;

გ.ვ) ახალი ლიცენზიების, პატენტების, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების მიღება;

გ.ზ) რესტრუქტურიზაცია ან რეორგანიზაცია, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ემიტენტის აქტივებსა და ვალდებულებებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე ან მოგებასა და ზარალზე;

გ.თ) მნიშვნელოვან მომწოდებლებთან ან კლიენტებთან ხელშეკრულებების შეწყვეტა/გაუქმება, ან მათი პირობების დარღვევა;

დ) კორპორაციული მართვა და მასთან დაკავშირებული საკითხები:

დ.ა) ცვლილებები ემიტენტის კონტროლში ან კონტროლთან დაკავშირებულ შეთანხმებებში;

დ.ბ) ემიტენტის მმართველ ორგანოსთან დაკავშირებული ცვლილებები;

დ.გ) ემიტენტის მომსახურე აუდიტორების ან მისი საქმიანობისთვის კრიტიკული მომსახურების გამწევ პირთა/ექსპერტთა ცვლილება ან ასეთ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები;

დ.დ) ემიტენტის საინვესტიციო პოლიტიკასთან დაკავშირებული ცვლილებები;

ე) სამართლებრივი დავები და მასთან დაკავშირებული საკითხები:

ე.ა) მნიშვნელოვანი სამართლებრივი დავები;

ე.ბ) გადახდისუუნარობის/გაკოტრების საქმის წარმოებასთან დაკავშირებით განცხადების გაკეთება;

ე.გ) ემიტენტის ლიკვიდაცია ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

დანართი 2

ინსაიდერული ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნების დაყოვნება

ამ დანართით დადგენილი მაგალითები არ არის ამომწურავი და ემიტენტებმა ინსაიდერული ინფორმაციის გამჟღავნების დაყოვნებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გაითვალისწინონ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებული შესაბამისი კონკრეტული გარემოებები. ის ფაქტი, რომ დანართში გათვალისწინებულია ესა თუ ის საკითხი, არ ნიშნავს იმას, რომ იგი ავტომატურად ჩაითვლება ინსაიდერული ინფორმაციის გამოქვეყნების მართლზომიერად დაყოვნების მიზეზად.

1. სიტუაციები, როდესაც ემიტენტმა შესაძლოა დააყოვნოს ინსაიდერული ინფორმაციის გამოქვეყნება:
ა) ემიტენტს აქვს კონფიდენციალობის შეზღუდვები კონკურენტულ გარემოებებთან დაკავშირებით (მაგალითად, როდესაც ემიტენტი ახორციელებს სახელშეკრულებო მოლაპარაკებებს, თუმცა ხელშეკრულება ჯერ არ არის დადებული და აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საფრთხეს შეუქმნის ხელშეკრულების დადებას ან დააზიანებს ხელშეკრულების მეორე მხარეს); ეს პუნქტი ექვემდებარება იმ დათქმას, რომ ემიტენტსა და მესამე მხარეს შორის დადებული ნებისმიერი კონფიდენციალობის შეთანხმება ემიტენტს ხელს არ უშლის მასზე დაკისრებული ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულებების შესრულებაში;

ბ) ემიტენტი აწარმოებს ისეთ მოლაპარაკებებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის დაუყოვნებლივ გამჟღავნებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ამ მოლაპარაკებების შედეგებს. ასეთი მოლაპარაკებების მაგალითი შესაძლოა იყოს შერწყმასთან ან გაყოფასთან დაკავშირებული საკითხები, აგრეთვე ინფორმაცია მსხვილი აქტივების შეძენასთან, ფილიალის ფუნქციონირებასთან, ემიტენტის რესტრუქტურიზაციასა და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები;

გ) ემიტენტმა აწარმოა/განავითარა პროდუქტი ან გამოგონება, რომლის შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივი გამოქვეყნება საფრთხეს უქმნის ემიტენტის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს;

დ) ემიტენტი გეგმავს, რომ შეიძინოს ან განკარგოს სხვა საწარმოს მნიშვნელოვანი წილი და ამ ინფორმაციის გამჟღავნებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას აღნიშნული გეგმის განხორციელებას;

ე) ემიტენტის ფინანსური მდგომარეობა არის მძიმე და გარდაუვალ საფრთხეში და ასეთი ინსაიდერული ინფორმაციის დაუყოვნებლივი გამოქვეყნება საფრთხეს უქმნის ემიტენტის ფინანსური გაჯანსაღების გეგმასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დასრულებას, რაც, თავის მხრივ, სერიოზულ საფრთხეს უქმნის არსებული და პოტენციური აქციონერების/მეწილეების ინტერესებს;

ვ) შემთხვევა, როდესაც ემიტენტის მიერ წინასწარ გაცხადებული ოპერაციის შესრულება საჭიროებს შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს თანხმობას და შესაძლოა დამოკიდებული იყოს დამატებითი მოთხოვნების შესრულებაზე; თუ ამ მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ გამოქვეყნებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს მათ შესრულებას და, შესაბამისად, ოპერაციის წარმატებით განხორციელებას.

2. **სიტუაციები, როდესაც ინსაიდერული ინფორმაციის გამოქვეყნების დაყოვნებამ შესაძლოა, შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება:**

ა) ემიტენტი გეგმავს ისეთი ინსაიდერული ინფორმაციის გამჟღავნების დაყოვნებას, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ემიტენტის მიერ ამ ინფორმაციასთან დაკავშირებული უკვე გაკეთებული საჯარო განცხადებისგან;

ბ) ემიტენტი გეგმავს ინსაიდერული ინფორმაციის გამჟღავნების დაყოვნებას იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მისი წინასწარ გაცხადებული ფინანსური მიზნები შესაძლოა ვერ განხორციელდეს;

გ) ემიტენტი გეგმავს ისეთი ინსაიდერული ინფორმაციის გამჟღავნების დაყოვნებას, რომელიც რადიკალურად განსხვავდება ბაზრის მოლოდინებისგან მაშინ, როდესაც აღნიშნულ მოლოდინებს საფუძვლად უდევს ამ ემიტენტის მიერ ბაზარზე გაშვებული სიგნალები, როგორიცაა ინტერვიუები, საჯარო განცხადებები ან ემიტენტის მიერ ან მისი თანხმობით ორგანიზებული ნებისმიერი სხვა სახის კომუნიკაცია.

დანართი 3

ბაზრის მანიპულაცია

ეს დანართი ადგენს იმ ქმედებათა არაამომწურავ და საილუსტრაციო მაგალითების სიას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს ბაზრის მანიპულაციად; ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში, მოცემული მაგალითები, მათი მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლოა არ ჩაითვალოს ბაზრის მანიპულაციად.

1. გარიგებები ან დავალებები, რომლებიც წარმოშობს მცდარ ან შეცდომაში შემყვან სიგნალებს:

ა) ფასიანი ქაღალდების შეძენის ან გასხვისების იმგვარი ოპერაცია, რომელიც არ იწვევს ფასიანი ქაღალდის ბენეფიციარი მესაკუთრის ცვლილებას ან ფასიან ქაღალდზე საბაზრო რისკის გადაცემას; ასევე, გარიგება, რომლის დროსაც ბენეფიციარი მესაკუთრეობის ცვლილება და საბაზრო რისკის გადაცემა ხორციელდება მხოლოდ ურთიერთშეთანხმებით მოქმედ პირებს შორის; (აღნიშნული არ მოიცავს რეპო ოპერაციებსა და ფასიანი ქაღალდის სესხებას/გასესხებას);

ბ) საფონდო ბირჟაზე ან სხვა სახის სავაჭრო პლატფორმაზე გარიგების დადება ან დავალების განთავსება მოჩვენებითი საბაზრო აქტივობის შექმნის გზით, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ფასიანი ქაღალდების ფასთან, მის მოთხოვნასთან ან მიწოდებასთან დაკავშირებით მცდარი სიგნალების წარმოქმნა. მაგალითად, სავაჭრო დავალებ(ებ)ის განთავსება წინა დავალებ(ებ)ისგან განსხვავებულ (უფრო დაბალ ან მაღალ) ფასად, მაშინ, როდესაც არ არსებობს ამ დავალებ(ებ)ის აღსრულების განზრახვა;

გ) ბაზრის დახურვისას ფასიანი ქაღალდების შეძენა ან განკარგვა, რომლის მიზანს წარმოადგენს ამ ფასიანი ქაღალდების ბაზრის დახურვის ფასზე გავლენის მოხდენა.

2. გარიგებების დადება ან დავალებების განთავსება, ფასიანი ქაღალდების ფასის ხელოვნურ (არანორმალურ) მაჩვენებელზე შენარჩუნების მიზნით:

ა) გარიგებების დადება ან დავალებების განთავსება, ფასიანი ქაღალდების ფასის ხელოვნურ (არანორმალურ) მაჩვენებელზე შენარჩუნების მიზნით;

ბ) ფასიანი ქაღალდების მიწოდებაზე ან მოთხოვნაზე დომინანტური პოზიციის შენარჩუნება, რომლის შედეგს წარმოადგენს ფასიანი ქაღალდის შეძენის ან განკარგვის ფასის პირდაპირი ან არაპირდაპირი დაფიქსირება, ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების შექმნა იმავე ფასიან ქაღალდთან ან მასთან დაკავშირებულ ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებით;

გ) ფასიანი ქაღალდის ფასის ვარდნის მუდმივი პრევენცია, რათა დაკმაყოფილებულ იქნეს საკრედიტო შეფასება, დათქმები ან ჰეჯირებასთან დაკავშირებული სხვა მიზნები;

დ) საინვესტიციო პორტფელის ან ფასიანი ქაღალდების შეფასების გაუმჯობესების მიზნით თვის, კვარტალის ან ნებისმიერი სხვა საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს, ფასიანი ქაღალდების დიდი მოცულობით ყიდვა ან გაყიდვა;

ე) პირის ან ურთიერთშეთანხმებით მოქმედ პირთა ჯგუფის მიერ პირველადი შეთავაზების საფუძველზე ფასიანი ქაღალდების მიღების შემდგომ, ამ ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე შეძენა მათი ფასის ზრდის მიზნით, რათა შესაძლებელი იყოს პირველად ბაზარზე შეძენილი ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე უფრო მაღალ ფასად გაყიდვა.

3. შეცდომაში შემყვანი ქმედებები:

ქვემოთ წარმოდგენილი ბაზრის მანიპულაციის მაგალითები ეხება მცდარი და შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელებას, რომელსაც შესაძლოა არ მოჰყვეს შესაბამისი თანმხლები გარიგების დადება. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ფასიანი ქაღალდის ფასთან დაკავშირებული, სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის არასათანადოდ გამჟღავნებას, რასაც შედეგად შესაძლოა მოჰყვეს დაინტერესებული პირების შეცდომაში შეყვანა:

ა) ფასიან ქაღალდზე ან მასთან დაკავშირებულ ფინანსურ ინსტრუმენტზე მოკლე ან გრძელი პოზიციის დაკავების შემდგომ, მცდარი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება იმ მიზნით, რომ ამ ინფორმაციის გავრცელების შემდგომ დაიხუროს პოზიცია;

ბ) ფასიანი ქაღალდის ბენეფიციარი მესაკუთრეობის შესახებ ინფორმაციის დამალვისათვის განხორციელებული ქმედებები, რომლის მიზანს წარმოადგენს ნებისმიერი სახის საანგარიშგებო მოთხოვნების ან ფასიან ქაღალდთან დაკავშირებული რეალური პოზიცი(ებ)ის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება;

გ) ფასიან ქაღალდზე ან ემიტენტზე მცდარი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება მედიის

(მათ შორის – ინტერნეტის) მეშვეობით ან სხვა საშუალებებით.